



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეში

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შენიშვნა-1

შოთა ბუჩუკური				
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	შენიშვნა-2	
ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი				
პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი			
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შენიშვნა-5

1. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო		1. ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N8, IV სართული თბილისი, 0186
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2. თამარ ჭოველიძის ქუჩა N°10ა, 0108 ქ, თბილისი

სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	შენიშვნა-6	
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლო დანაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საბანი

შენიშვნა-11

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ქმედების განხორციელების დავალება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

2017 წლის 25 მაისს მივმართე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვე შპს „ენერგოტრანსის“ 500კვ-იანი ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების (ყველა ეტაპის გამოცალკევებით) მასალების ასლი.

2017 წლის 8 ივნისს მივიღე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის წერილი №09/845, რომლითაც მეცნობა, რომ შპს „ენერგოტრანსის“ მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული შემდეგი ადმინისტრაციული წარმოების მასალები:

- მშენებლობის პროექტი;
- პროექტის რეკონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;
- საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე;
- საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე;
- საექსპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე;
- კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადმომეცემოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომელიც კომერციულ საიდუმლოებად არ არის მიჩნეული.

2017 წლის 12 ივნისს მივმართე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვე შპს „ენერგოტრანსის“ მიერ ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის წარდგენილი დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ მოთხოვნისა (რომელიც № 09/845 წერილის შესაბამისად წარდგენილია ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში) და მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტები.

2017 წლის 13 ივნისს მივიღე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის წერილი № 09/861, რომლითაც გადმომეცა მხოლოდ სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის N#94-4 ბრძანების დამოწმებული ასლი „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (პკ0+პკ.32 7+44 მდე) 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 და ნპკ.950+18 მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ”.

2017 წლი 06 ივლისს ადმინისტრაციული საჩივარი წარვადგინე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შესაბამისი მოთხოვნით, თუმცა პასუხი დღემდე არ მიმიღია, რის გამოც ჩემი დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა წინამდებარე სარჩელის აღძვრა სასამართლოში.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2017 წლის 25 მაისს მივმართე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვე შპს „ენერგოტრანსის“ 500კვ-იანი ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების (ყველა ეტაპის გამოცალკევებით) მასალების ასლი.

მტკიცებულება:

დანართი #1. 2017 წლის 25 მაისს წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

2. ფაქტობრივი გარემოება

პასუხად, 2017 წლის 8 ივნისს მივიღე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის წერილი №09/845, რომლითაც მეცნობა, რომ შპს „ენერგოტრანსის“ მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს მიერ კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული შემდეგი ადმინისტრაციული წარმოების მასალები:

მშენებლობის პროექტი;

პროექტის რეკონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები;

საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე;

საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე;

საექსპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე;

კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები;

პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადმომეცემოდა ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომელიც კომერციულ საიდუმლოებად არ არის მიჩნეული.

მტკიცებულება:

დანართი #2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 8 ივნისის № 09/845 წერილი.

3. ფაქტობრივი გარემოება

2017 წლის 12 ივნისს მივმართე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვე შპს „ენერგოტრანსის“ მიერ ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის წარდგენილი დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ მოთხოვნისა (რომელიც № 09/845 წერილის შესაბამისად წარდგენილია ტექნიკური და სამშენებლო

ზედამხედველობის სააგენტოში) და მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტები.

მტკიცებულება:

დანართი #3. 2017 წლის 12 ივნისის წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს.

4. ფაქტობრივი გარემოება

პასუხად, 2017 წლის 13 ივნისს მივიღე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის წერილი № 09/861, რომლითაც გადმომეცა მხოლოდ სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის #94-4 ბრძანების დამოწმებული ასლი „„ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (პკ0+პკ.32 7+44 მდე) 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 და ნპკ.950+18 მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ”.

მტკიცებულება:

დანართი 4. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 13 ივნისის № 09/861 წერილი.

5. ფაქტობრივი გარემოება

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე განთავსებულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ორგანიზაციისათვის მიწოდებული, მათ შორის: საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი ქსანი-სტეფანწმინდას პროექტის ტექნოლოგიურ ნაწილზე; საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი ქსანი-სტეფანწმინდას პროექტის მშენებლობის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე; საექსპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი ქსანი-სტეფანწმინდას პროექტის მშენებლობის ფუძე-სადირკველების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე; პროექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები და ა.შ.

მტკიცებულება:

დანართი №5. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 ივლისის 09/1304 წერილის საფუძველზე მიერ მწვანე ალტერნატივასათვის მიწოდებული დოკუმენტები;

დანართი №6. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის №09/2527 წერილი ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას.

6. ფაქტობრივი გარემოება

2017 წლის 06 ივლისს ადმინისტრაციული საჩივარი წარვადგინე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მოვითხოვე: სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის 94-4 ბრძანების - „„ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (პკ0+პკ.32 7+44 მდე) 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 და ნპკ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ

საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ” - ბათილად ცნობა და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსათვის ჩემს მიერ 2017 წლის 25 მაისს მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად გადმოცემა. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დღემდე პასუხი არ მიმიღია, რაც თანახმად სზაკ-ის 183.1, 177-ე მუხლისა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უარს/გადაწყვეტილებას (ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც ამავე კოდექსის 178.3 შესაბამისად დადგენილი წესით საჩივრდება სასამართლოში.

მტკიცებულება:

დანართი 7. 2017 წლის 6 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

ა. (დანართი)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად ცნოთ - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის #94-4 ბრძანება „...ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (პკ0+პკ.32 7+44 მდე) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 და ნპკ.950+18 მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ”;

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 32-ე მუხლები.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; შოთა ბუჩუკურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 272 თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის,

პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ქსანი-სტეფანწმინდა 500კვ ეგზ-ს მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული (კერძოდ: მშენებლობის პროექტი, პროექტის რეკონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები, საექპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-საძირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საექპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე, კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები; და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია) შეუძლებელია წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას და მით უფრო, სახელმწიფო საწარმო - „ენერგოტრანსის“ კომერციულ საიდუმლოებას. პროექტი მიზნად ისახავს კონკრეტული სიმძლავრის ხაზის (მზა, სხვა პირისგან შეძენილი) კონკრეტული ბუნებრივი პირობებისათვის შესაფერის სტანდარტულ და აპრობირებულ ანძებზე განთავსებას, არ იყო დაკავშირებული რაიმე სიახლესთან და არ იყო ტექნიკური შემოქმედების შედეგი. ასევე, გაუგებარია კონკრეტულ გარემო პირობებში დაგეგმილი პროექტის დოკუმენტაციის გამჟღავნებამ, როგორ უნდა მიაყენოს ზიანი შპს „ენერგოტრანსის“ კონკურენტუნარიანობას, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს-ს ამ თვალსაზრით, მონოპოლიური მდგომარეობა უკავია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით.

საგულისხმოა, რომ დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა მოხდა არა ინფორმაციის წარდგენისას, როგორც ამას სზაკ-ი ითვალისწინებს, არამედ 2017 წლის 10 მაისს. აღსანიშნავია, რომ პირველ „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (კვ0+კვ.32 7+44 მდე) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის პირველი მონაკვეთის მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება 2016 წლის 19 ივლისს დასრულდა; ხოლო სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (კვ327+44 და ნკვ.950+18 მდე) მშენებლობის ნებართვისთვის გაცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება 2016 წლის 1 დეკემბერს. ამდენად, კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული დოკუმენტები გაცილებით ადრე იყო წარდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ფაქტობრივ გარემოებებში არის აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, გამონაკლისის გარეშე, გადაეცა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს და ეხლაც განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული დოკუმენტები განხილული იყო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად მე-V კლასის, ანუ რისკის მომეტებული ფაქტორის მქონე ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ დოკუმენტების განხილვის შედეგად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ დაასკვნა, რომ პროექტზე ნებართვის გაცემის შემთხვევაში დაცული იქნება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პრინციპები:

- ა) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება;
- ბ) უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;
- დ) საკუთრების უფლების დაცვა და რეალიზაცია;
- ე) საჯაროობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს „ენერგოტრანსის“ კომერციულ საიდუმლოებად არის მიჩნეული „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლისა და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაცია - რომლის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია ამავე კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის №94-4 ბრძანების სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები.

ამდენად, მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა - ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად ცნოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 06 აგვისტოს გადაწყვეტილება (ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40, 177-ე, 178-ე, 183-ე მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 32-ე მუხლები.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის

კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა ან სახელმწიფო მინისტრი (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანო), რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით დამტკიცებული - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების თანახმად პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ბაზაზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) წინაშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დებულების 6.1. მუხლის თანახმად, სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს სააგენტოს საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, აჩერებს მისი უკანონო აქტის ან მოქმედების შესრულებას.

სზაკ-ის 178.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

მითითებული ნორმების სინაარსიდან გამომდინარე, მაშასადამე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და მასზე ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი, მის ზემდგომ ორგანოს წარმოადგენს და სააგენტოს საქმიანობას კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამდენად, ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას ისე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების კანონიერების და მიზანშეწონილობის გადამოწმებას.

სზაკ-ის 177.1 მუხლის თანახმად დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ დარღვეული უფლების დასაცავად მოქმედი კანონმდებლობის დაცვით 2017 წლის 06 ივლისს წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მოითხოვა - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 10 მაისის 94-4 ბრძანების - „...ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (კვ0+კვ.32 7+44 მდე) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს და დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (კვ327+44 და ნკვ.950+18-მდე) მშენებლობის პროექტის, ტექნიკური დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ” - ბათილად ცნობა და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსათვის მის მიერ 2017 წლის 25 მაისს მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს, რომელიც ვალდებული იყო ადმინისტრაციული საჩივარი განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში თანახმად სზაკ-ის 183.1 მუხლისა წინამდებარე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დღემდე პასუხი მიღებული არ არის, რაც თანახმად სზაკ-ის 177.2 მუხლისა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს

უარს/გადაწყვეტილებას (ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და რაც ამავე კოდექსის 178.3 შესაბამისად დადგენილი წესით საჩივრდება სასამართლოში.

სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილი. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლი.

3. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მოსარჩელე, შოთა ბუჩუკურის მიერ 2017 წლის 25 მაისს მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად გადმოცემა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; შოთა ბუჩუკურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება ისეთ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 272 თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ქსანი-სტეფანწმინდა 500კვ ეგხ-ს მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული (კერძოდ: მშენებლობის პროექტი, პროექტის რეკონსტრუქციული და ტექნოლოგიური სქემები, საექპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის უბნებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედეგებზე, საექპერტო დასკვნა 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის სტეფანწმინდას მშენებლობის ფუძე-სამირკვლების და მზიდი კონსტრუქციული ნაწილების საპროექტო დოკუმენტაციაზე, საექპერტო დასკვნა 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდას ტექნოლოგიურ ნაწილზე, კონსულტანტებთან დადებული ხელშეკრულებები; და პროექტის ტექნიკური დოკუმენტაცია) შეუძლებელია წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას და მით უფრო, სახელმწიფო საწარმო - „ენერგოტრანსის“ კომერციულ საიდუმლოებას. პროექტი მიზნად ისახავს კონკრეტული სიმძლავრის ხაზის (მზა, სხვა პირისგან შეძენილი) კონკრეტული ბუნებრივი პირობებისათვის შესაფერის სტანდარტულ და აპრობირებულ ანძებზე განთავსებას, არ იყო დაკავშირებული რაიმე სიახლესთან და არ იყო ტექნიკური შემოქმედების შედეგი. ასევე, გაუგებარია კონკრეტულ გარემო პირობებში დაგეგმილი პროექტის დოკუმენტაციის გამჟღავნებამ, როგორ უნდა მიაყენოს ზიანი შპს „ენერგოტრანსის“ კონკურენტუნარიანობას, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს-ს ამ თვალსაზრით, მონოპოლიური მდგომარეობა უკავია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით.

საგულისხმოა, რომ დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა მოხდა არა ინფორმაციის წარდგენისას, როგორც ამას სზაკ-ი ითვალისწინებს, არამედ 2017 წლის 10 მაისს. აღსანიშნავია, რომ პირველ „ქსნის“ ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუანამდე (კვ0+კვ.32 7+44 მდე) 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის პირველი მონაკვეთის მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება 2016 წლის 19 ივლისს დასრულდა; ხოლო სოფელ ოქრუანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე, „ქსანი-სტეფანწმინდა“-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (კვ327+44 და ნკვ.950+18 მდე) მშენებლობის ნებართვისთვის გაცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოება 2016 წლის 1 დეკემბერს. ამდენად, კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული დოკუმენტები გაცილებით ადრე იყო წარდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ფაქტობრივ გარემოებებში არის აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, გამონაკლისის გარეშე, გადაეცა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს და ეხლაც განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული დოკუმენტები განხილული იყო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად მე-V კლასის, ანუ რისკის მომეტებული ფაქტორის მქონე ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ დოკუმენტების განხილვის შედეგად სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგანტომ დაასკვნა, რომ პროექტზე ნებართვის გაცემის შემთხვევაში

დაცული იქნება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პრინციპები:

- ა) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება;
- ბ) უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;
- დ) საკუთრების უფლების დაცვა და რეალიზაცია;
- ე) საჯაროობა.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა - დაევალოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მოსარჩელის მიერ 2017 წლის 25 მაისს მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულად გადმოცემა - ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევეალოს მოპასუხეებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

შენიშვნა-23

სსპა სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

შენიშვნა-25

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-26

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზღვარის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება: იხ. ადმინისტრაციული საჩივარი.

არა რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

18:00 - 00:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

1. 2017 წლის 25 მაისის წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს - 1 გვერდი;
 2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 8 ივნისის № 09/845 წერილი - 78 გვერდი;
 3. 2017 წლის 12 ივნისის წერილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს - 1 გვერდი;
 4. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 13 ივნისის № 09/861 წერილი - 3 გვერდი;
 5. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 1 ივლისის 09/1304 წერილის საფუძველზე მწვანე ალტერნატივასათვის მიწოდებული დოკუმენტები - 187 გვერდი;
 6. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის #09/2527 წერილი ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას - 145 გვერდი;
 7. 2017 წლის 06 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი - 8 გვერდი;
 8. პირადობის მოწმობის ასლი - 1 გვერდი;
 9. სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) გადახდის ქვითარი - 1 გვერდი;
- ფურცლების საერთო რაოდენობა: 425

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დას	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	შოთა ბუჩუკური	04.09.2017
--	---------------	------------

ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი და გვარი	შე სების თარიღი
შეესებულები ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.		